

# 2017 წლის ანგარიში

## *რეკლამა/პიარი*

2017 წელს, აჭარის ტურიზმის დეპარტამენტმა რეგიონში ტურისტების მოზიდვის მიზნით აქტიური პიარკამპანია 16 ქვეყანაში (გერმანია, პოლონეთი, ესტონეთი, ლიტვა, ლატვია, ისრაელი, საუდის არაბეთი, არაბეთის გაერთიანებული საამიროები, ირანი, თურქეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა, ბელარუსი, ყაზახეთი, რუსეთი) აწარმოა.

- სატელევიზიო რეკლამა - **Euronews, BBC, CNN (158 ქვეყნის მაცურებელი)**
- **42 პრეს/ინფოტური** - მედიისა და ტურისტული სააგენტოების **500 წარმომადგენელი**
- **150-ზე მეტი სტატია, რეპორტაჟი, გადაცემა** სამიზნე ქვეყნების პოპულარულ მედიასაშუალებებში
- სარეკლამო – საინფორმაციო სტატიები **9 საერთაშორისო ავიაკომპანიის საბორტო ჟურნალში**: Ukrainian Airlines, Air Astana, Azerbaijan Airways, Wizz Air, Turkish Airlines, Qatar Airways, Air Arabia, Aeroflot, Ural Airlines.
- გარე რეკლამა სამიზნე ქვეყნების **31 ქალაქში**
- **24 საერთაშორისო ტურისტული გამოფენა**:  
მათ შორის ისეთ მნიშვნელოვან გამოფენები, როგორებიცაა ბერლინის, პეკინის, კატოვიცის, ვროცლავის, სტამბულის, ვილნიუსის, თელ-ავივის, ტალინის, კიევის, დუბაის, ფრანკფურტის, ბაქოს, ლონდონის, ბარსელონასა და მინსკის საერთაშორისო ტურისტული გამოფენები.

## ონლაინ რეკლამა

გარდა ტრადიციული მარკეტინგული ღონისძიებებისა 2017 წელს, დეპარტამენტმა სამიზნე ქვეყნებში განახორციელა აქტიური ონლაინ რეკლამა სოციალური მედია ინსტრუმენტებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.

ტურისტებისთვის აჭარის შესახებ ამომწურავი ინფორმაციის მიწოდების მიზნით წელსვე მომზადდა:

- **Gobatumi.com-** ის 15 ენოვანი ქვეგვერდი
- ახალი ვებ-გვერდი **Gobatumi.com**

### სერვისის გაუმჯობესება

გასულ წელს, რეგიონში სერვისის გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანი პროექტები განხორციელდა. მათ შორის გამორჩეულია „ტურიზმის განვითარების სკოლა“, რომლის ფარგლებშიც ტურიზმის დარგში დასაქმებულ ადამიანებს ბათუმსა და მთიან აჭარაში ინტენსიური ტრენინგები ჩაუტარდათ.

- 500 გადამზადებული ადამიანი
- საოჯახო-სასტუმრო სახლებისა და კვების ობიექტების 232 მეპატრონე
- 71 დამწყები და მოქმედი გიდი
- გიდების პრაქტიკული სახელმძღვანელო
- „რეკომენდებული“ გიდები

ტურისტულ მარშრუტებზე გადამზადებული გიდების 50% ზაფხულის ტურისტულ სეზონზევე დასაქმდა.

### სოფლის ტურიზმის განვითარება

მთიანი აჭარის ტურისტული პროდუქტების განვითარებისა და პოპულარიზაციის მიზნით აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ტურისტული პროდუქტების სააგენტო აქტიურად მუშაობს. 2017 წელს, სააგენტომ ორგანიზება გაუწია:

- სოფლის ტურიზმის საერთაშორისო კონფერენცია
- ფრინველებზე დაკვირვების ფესტივალი
- სოფლის ტურიზმის ფესტივალი „განდაგანა“

მთიან აჭარაში განვითარდა რამდენიმე ტურისტული მარშრუტი, რაც თითოეულ მარშრუტზე საჭიროებიდან გამომდინარე მანიშნებლების დადგმას, რუკების ბეჭდვას და ტურისტული ობიექტების მონიშვნას ითვალისწინებდა.

- გოდერძი-მწვანე ტბა-ბემუმი
- ჩირუხის ჯიპტური
- მერისის ტურისტული მარშრუტი
- გობრონეთის ტურისტული მარშრუტი
- კინტრიშის, ისპანისა და მტირალას მარშრუტი

არსებული ტურისტული მარშრუტების პოპულარიზაციის მიზნით და ტურისტებისთვის რეგიონში მოგზაურობის გამარტივების მიზნით სააგენტომ განახორციელა შემდეგი აქტივობები:

- 12 საინფორმაციო ტური - 280 ადამიანი

- ახალი საინფორმაციო ცენტრი ბათუმი ცენტრალში (ჯამში, 8 ცენტრი აჭარაში-93 664 , +9% ვიზიტორი)
- საინფორმაციო დაფები 50 სასტუმროსა და კვების ობიექტში
- ტურისტული-საინფორმაციო დაფები ბათუმში (10ც)
- ბათუმის, ქობულეთისა და მთიანი აჭარის ტურისტული მარშრუტების რუკები/გზამკვლევი (200,000 -მდე )

### საერთაშორისო მოგზაურები

აჭარას ყველა ადმინისტრაციული საზღვრიდან (სარფი, პორტი, აეროპორტი) სტუმრობდა:

- 1,513,533 საერთაშორისო მოგზაური +7%
- +61% ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი

აჭარაში ყველაზე მეტი საერთაშორისო მოგზაური შემოვიდა შემდეგი ქვეყნებიდან:

თურქეთი - 944050

აზერბაიჯანი - 175289

რუსეთი - 106944

ირანი - 67638

ისრაელი - 50405

უკრაინა - 38276

სომხეთი - 19563

ბელარუსი - 15958

საუდის არაბეთი - 13196

ყაზახეთი - 10229

დადებითი ტენდენცებია ისეთი ევროპული ქვეყნებიდან, როგორებიცაა :

- ავსტრია +12%
- ბელგია +32%

- დიდი ბრიტანეთი +14%
- ნიდერლანდები +35%
- საფრანგეთი +16%
- ჩეხეთი +10%

### ვიზიტორები მთიან აჭარაში

2017 წელს, მაღალმთიან აჭარაში ვიზიტორების რაოდენობა გაიზარდა. გასულ წელს, მთიანი აჭარის პოპულარულ ტურისტულ მარშრუტებზე არსებულ საოჯახო-სასტუმრო სახლებს, ტურისტულ ობიექტებსა და მუზეუმებს 46 592 ვიზიტორი სტუმრობდა, რაც 98%-ით აღემატება 2016 წლის მონაცემებს. გასულ წელს, ვიზიტორებისთვის პოპულარული იყო მაჭახელას, ქედისა და ხულოს ტურისტული მარშრუტები თავისი ტურისტული ადგილებითა და ღირსშესანიშნაობებით.

- +204 % ქედის ტურისტული მარშრუტი
- +71% მაჭახელას ტურისტული მარშრუტი
- +78% ხულოს ტურისტული მარშრუტი
- 

აქედან, ყველაზე მეტი 20 298 ვიზიტორი ქედაში არსებულ ღვინის მარნებსა და ტურისტულ ადგილებს, 18 626 ვიზიტორი ხულოს, ხოლო 7 668 მაჭახელას სტუმრობდა.

ვიზიტორების რაოდენობა 32%-ითაა გაზრდილი მაღალმთიან აჭარაში მარშრუტებზე არსებულ მუზეუმებში. წლის განმავლობაში მაჭახელას, ხულოსა და ქედის მუზეუმებს 15 286 ადამიანი სტუმრობდა. ვიზიტორების მატება კვების ობიექტებსა და ტურისტულ ობიექტებშიც.

### ფრენები

2017 წელს, აჭარა განსკუთრებით მიმზიდველი იყო ავიაკომპანიებისთვის. ბათუმის მიმართულებით ზაფხულის ტურისტულ სეზონზე ავიაფრენებს 25 ავიაკომპანია ანხორციელებდა, რომელთა შორის 8 ახალი იყო.

- Fly Dubai - დუბაი-ბათუმი-ბათუმი
- Wings of Lebanon - ბეირუთი- ბათუმი- ბეირუთი
- Anda Air - კიევი-ბათუმი- კიევი -
- Nordavia - ს.პეტერბურგი- ბათუმი- ს.პეტერბურგი
- Nordstar Airlines - მოსკოვი-ბათუმი- მოსკოვი
- Severstal - ჩერეპოვეცი- ბათუმი- ჩერეპოვეცი
- Small planet Airlines - ვარშავა-ბათუმი-ვარშავა
- Aseman airlines - თეირანი-ბათუმი-თეირანი

ბოლო ოთხ წელში, ბათუმის მიმართულებით ფრენების რაოდენობა 3-ჯერ გაიზარდა. ივლისსა და აგვისტოში, ბათუმის მიმართულებით კვირაში საშუალოდ 97 ფრენა 37 მიმართულებით სრულდებოდა.